რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 12 მაისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. სადღეარ-ფურეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 94 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 94

თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო რაზმი აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ ოსმალთან მტერთან ბრძოლაში 5 აპრილს გმირულათ და შეუპოვრად დაეცენ 9 საუკეთესო ამხანაგები და წევრები რაზმისა

**გიორგი დოლიძე (ჭარუჩიკი), ზინოვი გერძენიშვილი, გიორგი კვაჭაძე, სიო ქანთარია, გაკო მათითაიშვილი, ზინოვი გარამ ძე, ივანე პაჭკაჭოვი, სტრ ნაველ[illegible] გრიგორ[illegible], ვასილი მჟავია.**

---

ღრმათ დამწუხრებულნი: სალომე ბექანის ასული ლორთქიფანიძისა, ელენე ლორთქიფანიძისა, ნესტორ და პოლიკარპე ესტატეს ძენი ლორთქიფანიძეები და ივანე ზაალის ძე ცქიტიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი ვაჟის, მეორე მეუღლის, ხოლო დანარჩენი ძმისას

**სილოვანე ესტატეს ძის ლორთქიფანიძის,**

რომლის დასაფლავება მოხდება თფილისში ავლაბრის სასაფლაოზე კვირას 12 მაისს. (1—1)

---

აგრაფინა ივანეს ასული გამეზარდაშვილისა, მღ. ივანე საბას ძე და მარიამ ზაქარიას ასული შვილებით: აკაკი, ალექსანდრე, სერგი, კალისა, ელენა და რძალი მარიამ არჩილის ასული თვარაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ქ. თავრიზში (სპარსეთი) ვერაგულათ მოკლულ იქმნა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო დანარჩენების საყვარელი სიძე

**ექიმი იაკობ გრიგორის ძე გამეზარდაშვილი**

ჩამოსვენების და ტირილის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—1)

---

დავით (დათიკო) გიორგის ძე პეშტმალჯიანცი და თომა ამბაკოს ძე ჩუბინიძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ქ. თავრიზში (სპარსეთში) ვერაგულათ მოკლულ იქნა ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

**ექიმი იაკობ გიორგის ძე გამეზარდაშვილი**

პანაშვიდი დანიშნულია დღეს კვირას 12 მაისს, დღის 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. ჩამოსვენება და დაკრძალვა ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი დედა ნინო; შვილები ბაბუცა, იოსები, ფაცია, კუკუნია, თამარა, ქეთო და სიძე აპოლონი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 12 მაისს ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ დაკარგულის და მუდამ სახსოვარის ხონის გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის

**გიგლა პავლეს ძე ფარცხალაძის**

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

**საოპერაციო ბიურო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა**

ბარიატინსკის ქუჩა № 5.

აწოდებს სოფლის მეურნეთ ბოსტნეულ მცენარეთა და საკვებ ბალახის თესლს, სოფლის სამეურნეო იარაღს და სხვ. აბრეშუმის თესლი ფრანგული და ბაღდადური ჯიშისა ორ მანეთად მისხალი.

---

**ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირს**

ესაჭიროება ფეხსაცმელების სახელოსნოსთვის გამოცდილი გამომჭრელი—ხელოსნები, მეწაღეები, მექალამნეები აგრეთვე ტყავის ქარხნისთვის მოხელეები ყოველგვარი ტყავის გასაკეთებლათ. წინადადებით უნდა მიმართოთ ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე. სომხის ბაზარი № 6. 2—1

---

აღმოსავლეთ საქარ. ეროვნული მომღერალ-მგალობელთა გუნდი

(დაარსებულია 1910 წლიდან)

**მიხეილ კავსაძის ლოტბარობით,**

რომელიც შემდგარია 25—50 კაცისაგან გამოწყობილი ეროვნულ ტანისამოსში, ასრულებს 100-ზე მეტს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს და საეკლესიო 3 ხმოვან გალობას, გადაღებ. ფ. ქორიძის, ი. რატილის, ძმ. კარბელაშვილების, მ. ბალანჩივაძის, ალ. კავსაძის და სხვათა მიერ; იღებს მონაწილეობას კონცერტებზე, გალობაზე, დილა სალამოებზე, სერ ნობებზე და სხვა, როგორც ტფილისში ისე პროვინციებშიც. გუნდის მოწვევის შესახებ მოლაპარაკება პირადათ ლოტბარ მიხეილ კავსაძესთან (ქართული ბანკი ტელ. № 170 დილ. 10—2 საათამდე).

გუნდში მიიღებიან გამოცდილნი მომღერალ-მგალობელნი ჯამაგირით. (1—1)

---

**ქართული კლუბი**

ხვალ ორშაბათს, 13 მაისს (30 აპრილს) ქართველ მსახიობთა მიერ ვ. გამყრელიძის და შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდ. იქნება ისტორიული დრამა გურულების ცხოვრებიდან

**ორი გმირი**

დრ. 3 მოქ.

I მოქ. შეთქმულება და ღალატი II მოქ. კარჩხალის მთებიდან ოსმალთა განდევნა III მოქ. ჟდანაშაულო სასჯელი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში — დასაწყისი საღამოს 8 საათზე

გამგე პ. ფრანგიშვილი. — რეჟისორი ვ. ბარველი.

## ტერიტორიალური გადამიჯვნა

არის შედარებით ბედნიერი ქვეყნები, სადაც ერთი მოდგმის ხალხი, ერთი მთლიანი ერი ბინადრობს. ასეთია, მაგალითად, საფრანგეთის რესპუბლიკა.

მაგრამ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მცხოვრებთა შემადგენლობა ჭრელია, მრავალი ეროვნება ცხოვრობს სხვადასხვა ენით და ზნე-ჩვეულებით, სხვადასხვა კულტურით და ეკონომიურ განვითარებით. ასეთია რუსეთი, რომელსაც ამიერ-კავკასია უკვე გამოეყო და ცალკე რესპუბლიკა დაარსა.

თვით ამიერ კავკასიაში მრავალი ერი ცხოვრობს და ამ ერების შეთანხმება, მათში კეთილ განწყობილების დამყარება აუცილებელია. ამისთვის თითეულ ერს უნდა მიეცეს საშუალება თავისუფალ განვითარებისათვის, რაც შესაძლებელია შესაფერ საზოგადოებრივ ორგანიზაციის შექმნით. ყოველი ორგანიზაცია, ყოველი სახელმწიფოებრივი ერთეული განსაზღვრულ მიდამოზე შეიძლება არსებობდეს. უტერიტორიოთ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს. და რადგან უკვე აღიარებულია ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა, ცხადია, ახლავე უნდა განისაზღვროს ამ ფედერაციების მიდამო, უნდა შემოიხაზოს საჭირო ტერიტორია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამიერ-კავკასიაში მრავალი ერი ბინადრობს. ყველა ერისთვის სახელმწიფო ერთეულის გამოჭრა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ისედაც ჭრელს ურთიერთობას კიდევ უფრო აჭრელებდა და ეკონომიურ განვითარებას შეაფერხებდა. მართლაც როგორ შეიძლება სახელმწიფო შექმნას ისეთმა ერმა, რომლის რიცხვი მხოლოდ რამდენიმე ათი ათასით განისაზღვრება. ასეთ სახელმწიფოს მარტო მთავრობის შესანახათ არ ეყოფოდა თავისი ბიუჯეტი. ამიტომ ჯერ-ჯერობით განზრახულია ამიერ-კავკასიის ტერიტორიიდან გამოიჭრას სამი სახელმწიფოებრივი ერთეული, შედგეს სამი რესპუბლიკა—საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი. დანარჩენ ერებს უნდა მიეცეს ფართო თვითმართველობა.

როგორ უნდა გამოიჭრას ამ სამი ერის ტერიტორია?

არსებობს ორი პრინციპი: ისტორიული და რეალურ მოსახლეობის.

ისტორიულ პრინციპის განხორციელება დღეს შეუძლებელია. ისტორიულათ საქართველო გაცილებით უფრო დიდი იყო, ვინემ დღეს არის, მაგრამ ამ პრინციპის განსახორციელებლათ არც ძალა შეგვწევს და არც სურვილი გვაქვს რამდენათაც ჩვენ დემოკრატები ვართ და არა იმპერიალისტები.

რეალურ მოსახლეობის მიხედვით ამა თუ იმ ერის ტერიტორიათ უნდა ჩაითვალოს ის ადგილი, სადაც აღნიშნული ერი ბინადრობს. საუბედუროთ მჭიდროთ დასახლებული, ერთი მთლიანი ტერიტორია არც ერთს ერს ამიერ-კავკასიაში არ მოეპოვება. არის მხოლოდ ზოგიერთი გუბერნიები, რომელიც სადავო არ არის. ასეთია, მაგალითად, საქართველოსთვის ქუთაისის გუბერნია და თფილისის გუბერნიის ზოგი მაზრები. რაც შეეხება იმ ადგილებს, სადაც ერები არეულათ ცხოვრობენ, იქ უნდა ვიხელმძღვანელოთ უმრავლესობის პრინციპით. სადაც შეიძლება და მდებარეობა ხელს უწყობს, ძველი ადმინისტრატიული ერთეულები უნდა დაიჭრას და ახალი შესდგეს. ასეთს ადგილებში საჭიროა შეთანხმება, საქმის მორიგებით გათავება.

გაბატონებული კლასები და ჯგუფები არავითარ უსამართლოების ჩადენას არ მოერიდებიან გადამიჯვნის დროს. დემოკრატია ფხიზლათ უნდა იყოს და უსამართლობის ჩადენის ნება არავის არ უნდა მისცეს, რადგან ტერიტორიების სამართლიანათ და გონივრულათ განაწილებაზე ჰკიდია ჩვენი მომავალი ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმე, ადგილობრივ ერების თანამშრომლობა და კეთილი მეზობლური განწყობილება.

## კარლ მარქსი და მუშა

ამ ასი წლის წინათ, სახელდობრ 1818 წ., 5 მაისს გერმანიაში დაიბადა უდიდესი მოაზროვნე და მეცნიერული სოციალიზმის შემქნელი კარლ მარქსი.

მან თავისი უკვდავი გამოკვლევებით სოციოლოგიაში ისეთივე ძირითადი ცვლილება მოახდინა, როგორც დარვინმა ბუნების მეტყველობაში. კარლ მარქსმა დარვინზე ადრე აღიარა ბრძოლა არსებობისათვის, როგორც ცხოვრების კანონი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დარვინი აღნიშნავს: ბუნებაში ერთი ყველას და ყველა ერთის წინააღმდეგ იბრძვის, ხოლო მარქსი კი ამტკიცებს, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ერთმანეთს კლასები ებრძვიანო.

ეს უდიდესი აღმოჩენა და მისი მეცნიერულათ დასაბუთება კარლ მარქსის აზროვნებას ეკუთვნის. ამიტომაც არის აკადემიურათ გაწვრთნილ მოაზროვნეთ და კაბინეტის მუშაკთ ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეუძლია უბრალო, განუვითარებელ მუშებს კარლ მარქსის ღრმა აზროვნების, მის დიად მსოფლმხედველობის შეთვისება. მათ ვერ გაუგიათ, თუ როგორ ხდება, რომ მარქსის მეცნიერულ სისტემას, რომელიც მუშების დღიურ ჭირ-ვარამზე ამაღლებულია და მათი მდგომარეობის ულრმეს ანალიზს წარმოადგენს, ეს უკანასკნელები ყველაზე ადრე და სისწორით იგნებენ. მაგრამ ბურჟუაზიულ მოაზროვნეთ არ იციან, თუ კარლ მარქსი ვინ არის მუშათა კლასისათვის და რა გაუკეთა ამათ.

მარქსის უკვდავ ნაწარმოების მხოლოდ წიგნების შემწეობით გაგება ისეთივე ძნელი საქმეა, როგორც ბუნების ნაწილებიდან ქიმიურათ პურის დამზადება. მხოლოდ, როცა კი პური დამზადდება, ვისაც კი კუჭი აქვს და ჭამა შეუძლიან, ადვილია მისი გადახარშვამონელება. კარლ მარქსის ძირითად შეხედულების შეთვისება, მისი გაგება მუშისათვის დიდ ტანჯვასა და სიძნელეს არ შეადგენს, ვინაიდან მარქსის მსოფლმხედველობაში ჩაქსოვილია მუშათა კლასის ობიექტიური და სუბიექტიური მდგომარეობა, მისი სულისკვეთება; აქ ისკვნება და იშლება მთელი მისი საზოგადოებრივი არსებობა და ამიტომაც არის, რომ იგი ღრმათ ეწაფება მის შესწავლას.

ძველი საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი არისტოტელი ამბობდა, რომ ადამიანმა ღმერთები თავის მსგავსი და არსებისა შექმნაო. მაგრამ მისი ასეთი შეხედულება, ცოტა არ იყოს, ვიწრო და ცალმხრივია. ჩვენ ვამბობთ: არამც თუ ზეციური ღმერთები,—არამედ მიწიური ბატონებიც კი: ოჯახის, სახელმწიფოსა და ზეციური მამა ძველი ადამიანისთვის სამება და ერთარსებაა, რომლებიც მას სამოთხისაკენ მიაქანებენ. მთელი მსოფლმხედველობა ხალხის ფართო მასისათვის დიდ ხნობამდის თავისი ეკონომიური არსებობის გაგრძელების სურათს შეადგენდა და მას იგი ამ თვალსაზრისით სჭვრეტდა.

თანამედროვე პროლეტარიც, თანამედროვე ფაბრიკა-ქარხნების მუშებიც მარქსის აზროვნებას, მის მსოფლმხედველობას ამავე სახით უდგება და ასეთი თვალსაზრისით უცქერის და ითვისებს. თუ უნდა, რომ სისწორით შეითვისოს დიდი მასწავლებლის ღრმა აზროვნება—იგი წარსულს ითვალისწინებს, თავის წინაპრების ცხოვრებას თვალს ავლებს და აწმყო მდგომარეობას ისე ხვდება. მან კარგათ იცის, რომ მისი მამა და პაპა ასეთ პირობებში არ იმყოფებოდენ; იცის, რომ მისი წინაპრები საკუთარ მიწაზე მუშაობდენ და ოჯახის წევრებისათვის საჭირო ნივთებს ამზადებდენ. საწარმოვო იარაღები და ნაწარმოებიც მათ საკუთრებას შეადგენდა და ავისა და კარგის მოჭირნახულენიც თითონ იყვნენ. მეცნიერება თუ უბედურება მათი საკუთარი წილხვედრი იყო და ისე ცხოვრობდენ, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანები.

მაგრამ ჟამთა ვითარება, საწარმოვო ძალთა განვითარებამ არსებული ურთი-ერთობა ძირიან-ფესვიანათ შესცვალა. მთელი ქვეყანა ჯადოქრულმა მიწის ძვრამ შეარყია და საწარმოვო იარაღები ხალხის უმრავლესობას ხელიდან გამოაცალა. ძველი მესაკუთრე, მიწის და სახელოსნოს პატრონები საკუთრებას მოკლებულები დარჩენ და თანამედროვე პროლეტარათ გადაიქცენ.

საწარმოვო იარაღებს მოკლებული თანამედროვე მუშათა კლასი იძულებული გახდა თავისი საკუთარი შრომა საწარმოვო იარაღების პატრონისათვის—ფაბრიკანტ-კაპიტალისტებისათვის მიეყიდა და ამ სახით ერჩინა თავი. ამიერიდან შეიცვალა მისი საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისი საზოგადოებრივი შეხედულება. ამიერიდან წარმოიშვა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა: კაპიტალისტები და დაქირავებული მუშათა კლასი, გაუმჯობესებული იარაღები, გაუმჯობესებული ტეხნიკა, აუარებელი დასამუშავებელი მასალა კაპიტალისტების საკუთრებათ გადაიქცა და აქ მუშათა კლასი წარმოების ნაწილათ გახდა. ამ წარმოების პროცესში იგი თავის საკუთარ ხელებით, საკუთარ ენერგიის დახარჯვით ქმნის ბურჟუაზიულ საზოგადოების აუარებელ სიმდიდრეს და ამ სიმდიდრიდან მას მხოლოდ პაწია ნაწილი რჩება· დანარჩენი კი კაპიტალისტების სასარგებლოდ და საკუთრებად მიდის.

ახლა მას კაპიტალისტები ახალ ღმერთად მოევლინენ და მის შრომას უზომო ექსპლოატაციას უშვრებიან. ახლა კაპიტალისტი მას შრომისაკენ მოუწოდებს და მას ხმამაღლა აგონებს: მე ვარ შენი ერთადერთი ღმერთი და ჩემს გარეშე ყველაფერი ამაოება არისო!

აი—ეს პროცესი, პროლეტარიატის ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა კარლ მარქსმა ყველაზე სისწორით, მეცნიერული სიღრმით გააშუქა. არც ერთი ეკონომისტი არ ყოფილა, რომელსაც ასეთი სისწორით გაეთვალისწინებინა თანამედროვე წარმოების ურთიერთობა და მუშათა კლასის ეკონომიური და სულიერი ტანჯვა. პროლეტარის მდგომარეობა და მისი თანამედროვე ხელფასის კანონი მარქსმა მთელი თავისი აზროვნების სიღრმით გაარკვია და მუშათა კლასს მისცა სწორი მსოფლმხედველობა. მან მუშათა კლასის ასეთი მდგომარეობა თავის „კაპიტალში" ყოველმხრივ გამოარკვია, კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობა, მისი სტრუქტურა გააშუქა და სოციალიზმის იდეა მეცნიერულათ დაასაბუთა.

მუშა, დაქირავებული პროლეტარი ყველაზე აშკარათ ხედავს, თუ რა ხდება მის თვალ წინ წარმოების სფეროში. ტეხნიკა ვითარდება, წარმოების დარგებში ახალი რევოლიუცია ხდება და ყველა ასეთი გაუმჯობესება პროლეტარიატის საერთო ხელფასის შემცირებას იწვევს. რამდენათაც წარმოების ურთიერთობა ვითარდება, იმდენათ დაქირავებულთა რიცხვი წარმოუდგენლათ მრავლდება და ხალხის აუარებელი სიმდიდრე უმცირესობის ხელში გროვდება. ასე რომ პროლეტარიატის სოციალიზმის იდეა მისი საკუთარი მდგომარეობიდან იშვება და ამიტომ მარქსიზმის შეხედულება მისი საკუთარი მდგომარეობის გამომხატველი მეცნიერებაა.

ასეთი მდგომარეობა ყველგან საერთო მოვლენათ გადაიქცა და სადაც კი არსებულმა წარმოების ურთიერთობამ ფეხი მოიკიდა, ყველგან მარქსიზმის და მარქსის შეხედულება მუშისათვის ყველაზე გასაგები და მისახლობი ხდება. ამიტომაც არის, თანამედროვე მუშა მარქსის ღრმა აზროვნებას, მის ღრმა მსოფლმხედველობას მწიგნობარზე უკეთესათ ხვდება და კარლ მარქსის პიროვნება, მისი თეორია ცოცხალი სურათია ყველა ქვეყნის პროლეტარიატისათვის. კარლ მარქსი მუშისათვის პოლიტიკური პიროვნებაა და მისი აზროვნება პროლეტარიატის საკუთარი აზროვნებაა.

## კარლ მარქსი და მეცნიერული სოციალიზმი

ასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი დიდებული მოძღვარი, კარლ მარქსი დაიბადა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა, ბევრი სახელმწიფო დაემხო და ბევრი კვლავ აღდგა, ევროპის რუკა საგრძნობლათ შეიცვალა, მაგრამ ცხოვრების დამახასიათებელი თვისება ისევ უცვლელი დარჩა. ეს არის ორი ქვეყნის, ორი საზოგადოების,—მჟვლეფელთა და გაყვლეფილთა არსებობა, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ბრძოლა. კაცობრიობის დიდი უმრავლესობა მოუთმენლათ მოელის ამ ურთიერთობის მოსპობას და ბრწყინვალე მომავლის, სოციალიზმის დამყარებას.

მაგრამ გაყვლეფილი და მჟვლეფელი, ბატონი და ყმა მუდამ არსებობდენ მას შემდეგ, რაც რომ ისტორია არსებობს; სოციალისტები ჯერ კიდევ ქრისტეს დროს და კიდევ უფრო ადრე გაჩნდენ, მაგრამ სოციალიზმის შესაძლებლობა ოცნებას სამყაროს არ გასცილებია, ის ისეთსავე რწმენას წარმოადგენდა, როგორიც არის რწმენა სამოთხის და [illegible] შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლ მარქსმა ბოლო მოუღო ასეთს მდგომარეობას და სოციალიზმს მყარი საფუძველი ჩაუყარა, ოცნების, უტოპიის სფეროდან ის მეცნიერულ ნიადაგზე გადაიტანა. მის დროს გაბატონებულს იდეალიზმს მან დაუპირდაპირა მატერიალიზმი და ამით საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნას ახალი მიმართულება მისცა.

რაში მდგომარეობს იდეალიზმი? ის არ უარყოფს მოვლენათა კანონშეწონილებას, მაგრამ საზოგადოების მამოძრავებელ ძალას ეძიებს ადამიანის გონებაში, შეგნებაში. ეს გონება, შეგნება კი სხვადასხვა დროს სხვადასხვაირია. და კითხვაც იმაშია, თუ საიდან წარმოსდგა ესა თუ ის შეგნება. იდეალიზმის პასუხი ამაზე ასეთია: ადამიანის გარეშე არსებობს ძალა, რომელიც მასზე არ არის დამოკიდებული. ეს არის განყენებული იდეა. მაშასადამე, იდეა განაგებს ცხოვრებას და რადგან იდეა შეიძლება მხოლოდ ადამიანის თავში ბუდობდეს, ამიტომ ქვეყნის ბედი „კრიტიკულად“ მოაზროვნე პიროვნებათა ხელშია. ასეთ დებულებას მარქსმა დაუპირდაპირა სულ სხვა დებულება: შეგნება კი არ განსაზღვრავს მდგომარეობას, არამედ, პირიქით, მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას. ესა თუ ის შეგნება, ესა თუ ის ფილოსოფია შენდება ამა თუ იმ მდგომარეობაზე. ეს მდგომარეობა კი შეესაბამება ეკონომიურ განვითარებას, საწარმოვო ძალთა განწყობილებას.

თავის ახალ მოძღვრების ცხადსაყოფად მარქსმა მიმართა ეგრეთ წოდებულ დიალექტიურ მეთოდს, დიალექტიკას. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება—ამას ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსი ამბობდა. მარქსმა ამ მეთოდით განიხილა ისტორიული მოვლენები და დაამტკიცა, რომ სოციალიზმი არ არის მხოლოდ ჩვენი სურვილების ნაყოფი, ის ისტორიული აუცილებლობაა: როგორც ფეოდალიზმს თავის დროზე მოყვა კაპიტალიზმი, ისე კაპიტალიზმის ნანგრევებზე სოციალისტური საზოგადოება უნდა აშენდეს.

მარქსმა გენიოსურათ დაახასიათა ცრუ მარქსისტები: ყველაფერი დამწვამეთ, ხოლო მარქსისტობას ნუ დამწვავებთო. მართლაც მარქსის სახელით ბევრი ანტისაზოგადოებრივი მიმდინარეობა სარგებლობს, ბევრი ეფარება მის ავტორიტეტს.

მაგრამ საქმე ცარიელ სიტყვებში როდია, საქმე მოქმედებაშია. და მხოლოდ იმ მიმდინარეობას აქვს ნება მარქსისტული უწოდოს თავის თავს, რომელიც ეკონომიურ განვითარებას ანგარიშს უწევს და თავის მოქმედების გეგმას ამ განვითარების მიხედვით აშენებს.

## დამოუკიდებლობის მტრები

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მეტათ საინტერესო გადაჯგუფება მოახდინა პოლიტიკურ პარტიათა შორის. საგულისხმოა, რომ ისეთი დაუძინებელი მტრებიც კი შეთანხმდენ დამოუკიდებლობის წინაამდეგ, როგორიც არიან ბალშევიკები და კადეტები. ბალშევიკებს პროგრამაში უწერიათ სრული თვითგამორკვევა ეროვნებათა გამოცალკევებამდე, კადეტები კი მუდამ სტამბოლის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობენ და მიუხედავათ ამისა, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ორივე პარტია გააერთიანა. ყველა ნაძირალები, ყველა ისინი, ვინც სხვისი ქონების დატაცებით ცხოვრობს, ყველა ის მოხელეები, რომელნიც მუდამ ხალხის დამონავებას ემსახურებოდენ, დღეს კადეტ-ბალშევიკების დროშას ამოეფარენ და ისე გვებრძვიან. „ზნამია ტრუდა“ სიყალბით სავსე წერილებს წერილებზე ბეჭდავს და ვინ იცის, რას არ გვაბრალებს. „ზნამია ტრუდა“-ს ახლა „ნაროდნაია სვობოდა“ აყოლია. ის დიდ განსხვავებას ვერ პოულობს ჩვენსა და ბალშევიკებს შორის და მეორე ხარისხოვან ბალშევიკებს გვეძახის. თუ რამეა განსხვავებაა, კადეტების აზრით, ჩვენსა და ბალშევიკებს შორის, ეს ბალშევიკების უპირატესობა ყოფილა ჩვენთან შედარებით.

ჩვენ თურმე ისევე ვხოცავთ ხალხს, როგორც ბალშევიკები, ჩვენ თურმე ისევე გავატიტვლეთ ფრონტი და შემდეგ საზავო მოლაპარაკება დავიწყეთ, როგორც ეს თავის დროზე ბალშევიკებმა ჩაიდინეს. მერე მართალია ეს? ვის ვხოცავთ ჩვენ? ნუ თუ რამდენიმე მცარცველის დახვრეტა ასე აშფოთებს კადეტებს? რათ ესარჩლებიან ისინი ავაზაკებს? ან როდის გავატიტვლეთ ჩვენ ფრონტი? კადეტები ისე შორს მიდიან ცილისწამებაში, რომ სამოქალაქო ომის გამოწვევასაც ჩვენ გვაბრალებენ და ბაქოს ამბავში ბალშევიკებს ამართლებენ. თურმე ნუ იტყვით, ჩვენ უარვყავით ბაქოს ბალშევიკებთან მშვიდობიანის გზით საქმის გათავება და ჯარი გავგზავნეთ იქ იმ დროს, როცა მშვიდობიან მოლაპარაკებით შეიძლებოდა უთანხმოების გადაჭრა. მერე მართალია ეს? ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს თავაშვებული, შეუწყნარებელი ცილის წამებაა. ჩვენი დელეგაცია ბაქოს სატრაპმა შაუმიანმა არ მიიღო, ჩვენს დეპეშაზე დაცინვით გვიპასუხეს. ეს იცის ყველამ, იციან კადეტებმაც, მაგრამ მაინც ბალშევიკებს ეფარებიან და აქებენ. რაშია საქმე? რათ ალმერთებენ ბალშევიკებს ისინი, ვინც სხვა დროს მოლალატეებათ თვლიდა მათ? ამის ახსნას ჩვენ ისევ კადეტების გაზეთში ვპოულობთ: ბალშევიკები რუსეთის შეერთებას ცდილობენ, ისინი რუსეთს თავს უყრიან, თქვენ კი გამოყოფით იმის დანგრევას ხელს უწყობთო. აი სად ყოფილა ძაღლი დამარხული. კადეტები და მათი ამყოლ-დამყოლი რუსი და სხვა რეაქციონერები ბალშევიკების ღირსებას ხედვენ თვითმპყრობელურ სახელმწიფოს აღდგენისათვის მოღვაწეობაში!

რა აქვს დემოკრატიას მათთან საერთო?

## 1901 წლის 22 აპრილი ტფილისში *)

დღეს ქრისტიანობა მე-1918 წელს დღესასწაულობს, რაც მშრომელთა და ტვირთმძიმეთა მოსარჩლე იესო ნაზარეველი ჯვარს აცვა მაშინდელმა გაბატონებულმა კლასმა თავისი მონა-მორჩილ სამღვდელოების, „ჟანდარმერიისა“ და ბრბოს დახმარებით.

დიახ, ის გოლგოთას მთაზე ავაზაკთა შორის თვის ზურგით ატანილ ჯვარზე ლურსმებით მიაჭედეს, მაგრამ ხალხის მტარვალებმა იესოს მცნება ვერ მოჰკლეს—ის აღსდგა მშრომელთა და ტვირთმძიმეთა გულში და ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა მათ მეხსიერებაში!

ეს იყო ამ 1918 წლის წინათ და ჩვენ მას პატივსა ვსცემთ როგორც ზნეობისა და სათნოების მოძღვარს. მაგრამ, ჩვენ ს. დ. მარქსისტები, არ ვმალავთ არც იმას, რომ იესოს არ ჰქონდა სრული პროგრამა იმ მშრომელთა გასანთავისუფლებლათ, ვისთვისაც ის ჯვარს ეცვა.

აი ეს ნაკლი შეავსო ეკონომისტ-მეცნიერმა კარლ მარქსმა, რომელიც იშვა ამ 100 წლის წინათ, ე. ი. 1818 წ. (გარდაიცვალა 1883 წ.). აი ამ მეცნიერმა მოგვცა ჩვენ სრული პროგრამა საერთაშორისო მუშათა კლასისა, რომელიც ნათლათ აშუქებს გზას სოციალიზმისაკენ.

ამ მოძღვრებას მე ვიცნობ 20 წელზე მეტია და ვიცი, რომ ამ საკაცობრიო მოძღვრების გავრცელებისთვის არა ერთი და ორი წამებულა, როგორც ინტელიგენტები, ისე მუშებიც, ბევრი მათგანი ველარ მოესწრო მათთვის საყვარელ თავისუფლებას. ინტელიგენტთა შორის: ლ. კეცხოველი, ა. ჯაფარიძე, ს. ჯუღელი, პ. ლომთათიძე, ყ. ნანეიშვილი, Кора (რუსია, გვარი არ ვიცი) და სხვანი მრავალნი.

მუშებში აღარ არიან: გ. თელია, მონტინია, ქ. კახეთელიძე, ა. თაქთაქიშვილი, ენუქიძე, ჯორჯიაშვილი, ბურჭულაძე ამხანაგებით, 9 ამხანაგი ნაძალადევში, რ. სტურუა, ზ. ჩოდრიშვილი და სხვა მრავალი, რომელთა თვითოეულათ მოგონება არ ძალმიძს.

ყველა ისინი სხვა ამხანაგებთან ერთათ იბრძოდენ ერთი მიზნისთვის მარქსიზმის დროშით.

აი ეს დროშა პირველათ 1901 წელს 22 აპრილს ტფილისში ალექსანდრეს ბაღთან აატრიალა ამ თავგანწირულთა რაზმმა კაცობრიობის საკეთილდღეოთ. დროშას ამშვენებდა მარქს-ენგელს ლასალის სურათები ზედ წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“, ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას! ძირს კაპიტალიზმი, გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ეს დღე ისტორიულ დღეთ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში.

ამ დღეს პირველათ შესძლო ტფილისის პროლეტარიატმა აშკარათ გამოსულიყო მეფის თვითმპყრობელობის წინაამდეგ, რომ ემცნო მთელი ქვეყნისთვის თვისი ინტერნაციონალური ხმა, რისთვისაც იმ დღეს სისხლიც დაიღვარა თვითმპყრობელობის ჯალათების ხელით ტფილისის პროლეტარიატისა.

ეს დღე პირველი დღეა, როგორც ტფილისში ეგრეთვე ამიერ-კავკასიაში აშკარათ ინტერნაციონალურ მარქსიზმის დროშით გამოსვლისა!

მაშინ ჩვენ ერთნი ვიყავით: „ჯერ დემოკრატიული რესპუბლიკა ოთხ ფორმულიან არჩევანზე დაყრდნობილი და მერეთ სოციალიზმისაკენო“.

ამას გვიკარნახებდა მარქსისტული მოძღვრება და მისი პროგრამა!

მართალია, დღეს გულს მიწამლავს მაშინდელი ზოგ ამხანაგების გზა დაბნეულობა, რომ მარქსიზმი ანარქიზმზე გაუცვლიათ, მაგრამ მწამს: რომ მოიგონებენ 1901 წლის 22 აპრილს და მარქსის დროშის ქვეშ დადებულ ფიცს, მასთან ერთათ დღევანდელ მწარე გამოცდილებით ნახულ სინამდვილეს, რომ ბალშევიკური ანარქიზმი სრულიადაც არ შეესაბამება პროლეტარიატის მსოფლ მხედველობას, გაისწორებენ შეცდომას და დაუბრუნდებიან საყვარელ მარქსიზმს.

ჩვენ დღეს საერთო ქრისტიანულ ქვეყანასთან ერთად, უნდა ვიდღესასწაულოთ 17 წლის თავი ტფილისში მარქსისტულ ინტერნაციონალურ დროშის აღდგომისა!..

გაუმარჯოს 22 აპრილს და მის 17 წლის აშკარათ მებრძოლ ინტერნაციონალურ დროშას ამიერ კავკასიაში!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ეროვნებათა ძმობა-ერთობას!

გაუმარჯოს კაცობრიობის მხსნელს სოციალიზმს!

დ. ი. ლორთქიფანიძე.

*) ეს წერილი ვერ დაიბეჭდა 22 აპრილის, ახალი სტილით 5 მაისის ნომერში, ვინაიდან უქმეების გამო სააღდგომოთ ნომერი ჩვენი გაზეთისა არ გამოსულა. რედ.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

10 მაისი.

7 მაისს ს. საროს და ხიზაბავრის რაიონებში, რომლებიც ახალქალაქის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობენ, მუსულმანთა „ჩეტნიკები“ შეესიენ 7 მაისს სარო-ძერის მთა გრეხილი დაიკავებიათ, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მათ სროლა აუტეხა და გარეკა. ღამით რამდენიმე იერიშების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ალყა შემოარტყეს სოფ. ხერთვისს და შემდეგ დაიკავეს ის.

ფრონტის სხვა ადგილებში დროებით შერიგება არ დარღვეულა.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

10 მაისი.

**კონსტანტინოპოლი.** ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**ტფილისი.** ნემცებმა დაიპყრეს დონის როსტოვი, სად. ტიხორეცკაია და ანაპა. ყირიმის ნახევარ კუნძულის დაპყრობის შემდეგ ნემცები ზღვით ანაპაში გავიდნენ და დაიპყრეს.

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა ლიუსბახიდან. ლიუსბახის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. უკანასკნელ სამი დღე ღამის განმავლობაში მტერმა დაჰკარგა 37 ჰაეროპლანი.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** მოქმედება უკრაინის რაიონში. აზოვის ზღვის ჩრდილო ნაპირზე ჩვენ წინ წავიწიეთ, მდინარე დონის შესართავს მივახწიეთ და ქ. როსტოვი დავიპყარით. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება დემარკაციულ ხაზის დადების შესახებ.

**ვენა.** პიავის ორივე ნაპირზე გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლა იყო.

**ლონდონი.** ავრის ორივე ნაპირზე ზარბაზნების სროლა იყო. სენ შანტელის რაიონში მტრის მზვერავები გავრეკეთ. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე არაფერი მომხდარა.

**მოსკოვი.** „რუსეთის რესპუბლიკის მთავრობა უკვე შეუდგა უკრაინასთან ზავის შეკვრას, თანახმათ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის მოთხოვნისა. ვორონეჟის, ბრიანსკის და კურსკის ფრონტებზე უკვე შესწყდა სამხედრო მოქმედება. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის განმარტების თანახმათ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რუსეთის სამშვიდობო დელეგაცია ამ დღეებში შეხვდება უკრაინა-გერმანელთა დელეგაციას და ზავი შეიკვრება“.

უმაღლეს სამხედრო საბჭოს განკარგულებით დონის და ყუბანის ოლქებში სამხედრო წესები გამოცხადდა.

11 მაისი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. იერუსალიმის აღმოსავლეთით საარტილერიო სროლა განახლდა. ჩვენმა ჯარმა მტრის აეროპლანებს სროლა აუტეხა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**„ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერები სოციალიზმის ნიღაბს ქვეშ“.**

შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა რუსეთის კომუნისტური პარტიის „პრავდა“-ს ამა წლის 27 მარტის ნომერი.

ეს გაზეთი გამოდის მოსკოვში.

იმის დასახასიათებლათ, თუ რა წარმოდგენა აქვთ რუსეთში ამიერ-კავკასიაზე, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რანაირი წარმოდგენის განმტკიცებას უწყობენ ხელს ბალშევიკები, საკმაოა მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები ზემო მოყვანილ სათაურის წერილიდან.

ამ წერილის ავტორი არის ცნობილი ი. სტალინ-ჯუღაშვილი. ფელეტონს, რომელსაც „დასასრული“ აწერია, ასე იწყებს ბატონი სტალინი:

„ჰყრიდა რა ფრონტიდან მიმავალ რუს სალდათებს იარაღს და ებრძოდა რა ამ გვარათ გარეშე რევოლიუციონერებს ამიერ-კავკასიის კომისარიატი, ამით ის ორ კურდღელს იჭერდა—ერთის მხრით ის ანადგურებდა რევოლიუციონურ ძალას, რუსის რევოლიუციონურ ჯარს, რომელზედაც უმთავრესად შეეძლო დაყრდნობა ადგილობრივ ბალშევიკურ კომიტეტს; მეორეს მხრით, ასეთი საშვალებით კომისარიატი იძენდა თავის ნაციონალური—ქართული, სომხური და მუსულმანური პოლკების შესაიარაღებლათ საჭირო იარაღს. ეს პოლკები კი საიმედო ძალას შეადგენდენ მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციონურ კომისარიატისათვის“.

ასეთია წერილის შესავალი. შემდეგ ის ჩამოთვლის თუ ვინ უმაგრებდა ზურგს ამიერ-კავკასიას. მოხსენებულია, რა თქმა უნდა, კალედინი და ფილიმონოვი, მაგრამ განაგრძობს სტალინი,—„არ ჩამორჩენ და არც შეიძლება ჩამორჩენილიყვნენ ცხოვრებას ამიერ-კავკასიის მუშები. ჩრდილოეთის რევოლიუციას მუშებისთვის მოჰქონდა ახალი შთაგონება, ამიტომ ბუნებრივი იყო ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი ბრძოლის ველზე ხელ-ახლა გამოსულიყო. მძინარე ტფილისის მუშებიც კი, ეს მენშევიკური კონტრ-რევოლიუციის ბურჯნი ჩამოშორდენ ამიერ-კავკასიის კომისარიატს და წამოაყენეს საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა…“

„ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე საკითხი ასე დადგა: ან უნდა შეერთებოდა ის მუშებს და გლეხებს მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ან უნდა დანგრეულიყო კოალიცია.

„ან უნდა სასტიკი ბრძოლა ეწარმოებიათ მუშებისა და გლეხების წინაამდეგ, რომ არ ჩაშლილიყო კოალიცია მემამულეებთან და კაპიტალისტებთან.

ბატონმა ჟორდანიამ და გეგეჭკორმა მეორე გზა აირჩიეს.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ქართველ-თათართა გლეხების აგრარული მოძრაობა გამოაცხადა დარბევათ და ხულიგანობათ და მონაწილეთ დაუწყო დაპატიმრება და დახვრეტა. დაბოლოს საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ ბატონ ჟორდანიამ და გეგეჭკორმა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის წაქეზებასაც კი მიმართეს ალბათ იმ მიზნით, რომ „მოსალოდნელი მეხი“ თავიდან აეცილებიათ. ეს ისეთი სისაძაგლეა, რაიც კადეტებსაც კი არ მოუმოქმედნიათ“…

„ამიერ-კავკასიის კომისარიატი, სეიმი და ნაციონალური საბჭოები გლეხების და მუშების წინააღმდეგნი არიან. ასეთია ამ ახალი „კურსის დედა-აზრი.

„ასე, ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებმა გარეშე რევოლიუციონერებთან, რუს სალდათებთან ბრძოლა განავითარეს და დაამთავრეს შინაურ თავისივე მუშებთან და გლეხებთან“.

შემდეგ ბატონ სტალინს მოჰყავს ტფილელ ამხანაგის წერილიდან ადგილები, სადაც აწერილია ალექსანდრეს ბაღში 10 თებერვალს მომხდარი ამბები. აქ განმეორებულია ის პროვოკაცია და სიყალბე, რომლითაც საკმაოდ მოწამლეს იმ დღეებში და შემდეგ ატმოსფერა ადგილობრივმა ბალშევიკებმა.

„ახალი“ სიცრუე არის შემდეგი: „მიტინგზე უმთავრესად უმიზნებდენ თოფებს მიტინგის პრეზიდიუმს, რომელიც ესტრადაზე იდგა. 10 ტყვიით მოჰკლეს ერთი ამხანაგი, რომელიც ქავთარაძეს ჰგავდა და ისე იყო ჩაცმული, როგორც ქავთარაძე. წითელ გვარდიელები კი ერთმანერთს უყვიროდენ: ქავთარაძე უკვე მოვჰკალითო“.

„მიტინგის შემდეგ დაიჭირეს ნაზარეტიანი და ცინცაძე და უპირობდენ დახვრეტას, მაგრამ ესერმა მეხალევმა იხსნა ისინი. მორეკეს სოფლებიდან შეიარაღებული „წითელ-გვარდიელები“ და მუსულმანთა ველური დივიზია. ყველა ჩვენს ამხანაგებს დახვრეტით ემუქრებიან. მიტინგის დახვრეტის დღეს ქალაქში მრავლად გაჩნდენ აფიცრები თეთრი შესახვევით მკლავებზე—თეთრ გვარდიელები, რომლებიც დაძრწოდენ ქალაქში და ეძებდენ ბალშევიკებს. ტრამვაიდან ჩამოიყვანეს ერთი კაცი, რომელიც შაუმიანს ჰგავდა, გააჩერეს, დააბჯინეს იარაღი და ესროლეს,—ჰყვიროდენ: ეს შაუმიანიაო, მაგრამ მოსტყუვდენ“.

ტფილისის ამბებს თან მიყვება გორის, ქუთაისის და სხვა ადგილების ამბები:

„გუშინ მუხრანში დააპატიმრეს ბალშევიკი მოხელე ცერცვაძე, რომელიც წასული იყო იქ გლეხების მოსალოდნელი გამოსვლის გამო თავ. მუხრანსკის და საუფლისწულო მამულების წინააღმდეგ“…

დაბოლოს, რუსი „პაგრომშჩიკების“ და „ხულიგანების“ გულის მოსახიბელ თავის პროვოკაციულ წერილს ბატონი სტალინი (ჯუღაშვილი) ასე ათავებს:

„ამიერ-კავკასიის კომისარიატის და მისი „სეიმ ნაციონალური“ კუდების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბოროტებით აღვსილ კონტრ-რევოლიუციონურ ბლოკთან, რომელიც მიმართულია ამიერ-კავკასიის გლეხების და მუშების წინააღმდეგ. ასეთია ფაქტი“.

და „დიდხანს იარსებებს ეს კონტრ-რევოლიუციონური კომისარიატი თუ არაო“.—კითხულობს ის.

„პრავდა“-ს იმავე ნომერში ბალშევიკების მოშაირე დემიან ბედნი შაირს უძღვნის „მოპირდაპირე მენშევიკებს“, რომლის აზრი ასე თავდება: „მოსკოვის და პეტროგრადის „სისაძაგლით“ ხართ თქვენ აღელვებულნი, მაგრამ რას უშვრებით უბედურ ამიერ-კავკასიას? რას იტყოდით იმის საპასუხოთ, რომ თქვენი გაკვეთილით ვისარგებლოთ და ახლო ხანში… იგივე მოგიზღოთო“..

აი ე ამზადებენ ბალშევიკები რუსეთის მართლა უბედურ დემოკრატიას „კონტრ-რევოლიუციონური“ ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ!

ასე გვემუქრებიან!

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბალშევიკების აზრების მოწინააღმდეგენი რუსეთის დემოკრატიაში თითებზე ჩამოსათვლელნი არიან.

ამის შემდეგ ჩვენში კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც დახმარებას ელიან რუსეთიდან!..

ის ხალხი, რომელთაც დიდათ შეუწყვეს ხელი ქვეყნის დანგრევას, კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას, ჩვენ გამოღმა გვედავებიან—კონტრ-რევოლიუციონერებს გვეძახიან!..

მაგრამ, განა ჩვენ არ ვიცით, რომ როცა ქურდს მისდევდენ დასაჭერად, თვით ქურდი გაიძახოდა—„არ გაუშვათ ქურდიო“…

და როცა მკითხველი ზემო-მოყვანილ წერილს წაიკითხავს—„ქურდის“ როლში, ეჭვს გარეშეა, სტალინ-ჯუღაშვილები და ძმანი მათი—ბალშევიკები—მოაგონდება…

## ახალი ამბები

8 მაისს **თფ. ალმ. კომიტეტის საგან. რაზმის** ჯარისკაცთა კრება შესდგა. დაესწრო ყველა წევრნი. პირველ საკითხათ იყო დასმული რაზმში კომიტეტის მოწყობა. ხამაშურიძის მოხსენების შემდეგ ერთხმათ იქნა არჩეული აღმასრულებელ კომიტეტში 5 კაცი: ცერაძე, შ. ხამაშურიძე, ა. შენგელია, გ. ალნიაშვილი, საგანელიძე; კანდიდატებათ: ხერხეულიძე, მირგატია; თავმჯდომარეთ ნ. ცერაძე, მდივნათ შ. ხამაშურიძე. აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

✦ **პროფესიონალურ კავშირებში** და მუშათა ორგანიზაციებში საკითხი აღიძრა შემარიგებელ კამერების რეფორმისა და საერთოდ მათი როლის გამორკვევის შესახებ, განზრახულია შემარიგებელ კამერებს სახელმწიფოებრივი ხასიათი მიეცეს, როგორც ეს ახალ ზელანდიაშია.

✦ **საგუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტის** სესიამ დაადგინა ყველა სადგილმამულო კომიტეტებთან დაარსოს საგანგებო სადგილმამულო კომისიები, რომლებმაც უნდა მოუარონ იმ მიწებს, რომლებიც კომიტეტების განკარგულებაში გადმოდის. ამ მიზნით გამოყენებული იქნება ყოფილ მიწად-მოქმედების სამმართველოს სამეურნეო აპარატი. ეს ზომა გამოწვეულია იმით, რომ ჩამორთმეული მამულები, რომლებშიაც სხვადასხვა ძვირფასი კულტურაა, ოხრდება და მცენარეულობა იღუპება.

✦ **ირაკლი წერეთელი თელავში.** 11 მაისს თელავში გაემგზავრა ირაკლი წერეთელი ლექციის წასაკითხათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამავე საგანზე მაზრაში გაიმართება მიტინგები, რომ ფართოთ გაეცნონ მცხოვრებლები დამოუკიდებლობის მიზანს და მის მნიშვნელობას. წერეთელთან ერთათ წავიდნენ სეიმის წევრნი ა. ლომთათიძე და ქ. ანდრონიკაშვილი. თუ დრო და გარემოება მისცემს საშუალებას თელავის მაზრიდან იგინი გაემგზავრებიან სიღნაღში იმავე მიზნით.

✦ **ლტოლვილნი.** ფოთიდან კომისარი აბდუშელიშვილი ატყობინებს მიმოსვლის მინისტრს: „შავი ზღვის ყველა ნავთსადგურები კატეგორიულათ უარს ამბობენ არა რუს ლტოლვილთა მიღებაზე. 3 ტრანსპორტს, რომლებიც 2 კვირის წინათ ლტოლვილებით გაგზავნე სხვადასხვა ნავთსადგურებში, დღემდე არც ერთ ალაგას არ მისცეს ნება ლტოლვილების გადმოსხმის და იარაღით ეწინააღმდეგებიან. ამის შემდეგ უმიზნო იქნებოდა ნავთსადგურებში ლტოლვილებით ტრანსპორტების გაგზავნა, რადგანაც ნავთსადგურებში რაიმეს ყიდვის ნებასაც არ აძლევენ. ამ ჟამათ ფოთში 4000 მდე არა-რუსი ლტოლვილია და 2000-მდე რუსი ლტოლვილი. რადგანაც აქ არ არსებობს არც საკვები პუნქტი, არც პური და არც მოწყობილი ბინა ლტოლვილთა მოსათავსებლათ, ყველანი ქუჩაში არიან. ლტოლვილთა შორის ტიფი და ყვავილი გახშირდა. ნავთსადგურის მიდამოები სავსეა ჭუჭყითა და სიმყრალით. მდგომარეობა სახიფათოა. დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ ყველა ეს მხედველობაში და არა რუსი ლტოლვილნი არ გამოგზავნოთ. რუსის ლტოლვილებსაც ჯერ ჯერობით ნუ გამოგზავნით. ტრანსპორტების მოძრაობის შესახებ ყველაფერს თავის დროზე შეგატყობინებთ.

✦ **ქართულ სიმღერა-გალობის კურსები.** ძმ. კავსაძენი ასწავლიან ხალხურ სიმღერა-გალობას და ამზადებენ მუდმივ სახალხო გუნდს სამშაბათობით და პარასკეობით ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის სკოლაში საღ. 6—9 საათამდე. მიიღებიან აგრეთვე მომღერალ-მგალობელნი ჯამაგირით.

✦ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა ს. დ. მ. პ. მიიღო შემოწირულება ბართლომე კილაძისაგან სხვადასხვა სახით ათასი მანეთის ღირებულება, რის შესახებ საოლქო კომიტეტი მადლობას უცხადებს მას.

✦ **ტფილისის წითელ გვარდიელთ,** რომელთაც ეხება სამხედრო სამსახური და რომლებიც არიან გადმოწერილნი ტფილისის საგანგებო რაზმში მოუწოდებს ტფილისის ალმ. კომ. საგანგებო რაზმის კომიტეტი დაუყონებლივ გამოცხადდენ საგანგებო რაზმში. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

✦ **შრომის სამინისტრომ** მუშაობის რაოდენობის შესახებ მიიღო შემდეგი განმარტება: ის პირნი, რომელნიც ფიზიკურად მუშაობენ თვეში 200 საათი უნდა იმუშაონ, კანცელარიების და კანტორების მოსამსახურეებმა კი —თვეში 150 საათი.

✦ **თამრობა.** „განათლების საზოგადოება“ გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საზოგადოება დღეს მართავს ჩვეულებრივს დღესასწაულს თამრობას. ქალთა სემინარიის ფონდის გა-

საძლიერებლათ საჩაე „ძმურ ნუგეშში“ გაიმართება კონცერტი ჩაი საუზმით. დიდუბის იკლესიის გალავანში მოთავსებული იქნება პატარა ბუფეტი. „განათლების საზოგადოება იმედოვნებს, რომ თამარები თავიანთ სახელწოდების დღეს არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ ულარიბეს ქართველ ქალების აღზრდას.

**სად. უჯარიდან** ინჟ. კოზევო ატყობინებს გზათა მიმოსვლის მინისტრს: ანარქია გრძელდება. საჭიროა არაჩვეულებრივი ზომები წესიერების დასაცავად.

**თფილისის საადგილ-მამულო კომიტეტის** მე-3 სესიამ აცნობა სეიმის საადგილ-მამულო კომისიას, რომ მცხოვრებთა ზოგიერთი ჯგუფები პროვოკაციულ მოქმედებას აწარმოებენ მიწის რეფორმის განხორციელების წინაამდეგ.

**ახალ ბაიაზეთიდან** იტყობინებიან: ბასარ-გიჩარს თათრებმა ალყა შემოარტყეს. მდგომარეობა საშიშია. საჭიროა დახმარება. წამოსვლა შეუძლებელია.

**„ორი გმირი“.** ქართულ კლუბში ხვალ ორშაბათს, 13 მაისს (30 აპრილს) ქართველ მსახიობთა მიერ ვ. გამყრელიძის და შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა გურულების ცხოვრებიდან „ორი გმირი“.

**სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება** გაიხსნება ნაძალადევის თეატრში ოთხშაბათს, 15 მაისს საღამოს 5 საათზე. ლექციების კითხვა იქნება საღამოობით 5—9 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე. ლექციის მოსმენა უფასო იქნება.

**საბავშვო დილა.** დღეს, დღის 12 საათზე, მეექვსე ვაჟების გიმნაზიაში (უდელნი ქუჩა № 3) გაიმართება საბავშვო დილა: 1) წარმოდგენილი იქნება საბავშვო პიესა „ამერიკელნი“. 2) ლიტერატურული განყოფილება.

**საქართველოს ეროვნული საბჭო.** დღეს, კვირას 12 საათზე მოხდება საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება. განსახილველი საგნები: საქართველოს კონსტიტუციის შედგენის საკითხი. მიმდინარე საშური საკითხები. კანდიდატების დასწრება საჭიროა.

**საქართველოს სამხედრო გზის** დასაცავათ მთავრობამ შეადგინა 350 კაცისაგან შემდგარი რაზმი.

**გურიიდან ჩამოსულთა** სიტყვით აჭარაში ოსმალებს გამოუცხადებიათ, რომ მოკლე ხანში ყველა აჭარელებს 18—45 წლამდე ჯარში გაიწვევენ და შემდეგ მესოპოტომიაში გაგზავნიან ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველადო. მათივე სიტყვით აჭარელებს დელეგატები გამოუგზავნიათ ფარულათ გურულებისათვის. მათ უთხოვიათ ომი განაახლონ ოსმალეთთან და აჭარა დაიბრუნონ.

სად. ბარდიდან სეიმის წევრი ჯავალოვი მთავრობას ატყობინებს: დაბა აგდამში (შუშის მაზ.) ბრძოლაა მცხოვრებთა და ყაჩაღებს შორის. მოკლული და დაჭრილი ორივე მხრით ბევრია. ბრძოლა გრძელდება. წესიერების აღსადგენად საჭიროა ჯარის გამოგზავნა. ბარდის ეროვნულმა კომიტეტმა 2 დელეგატი გაუგზავნა თავ. მაღალოვს ქიურდამირში დახმარების სათხოვნელად. გთხოვთ ჯარი გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ძალი მცხოვრებნი ამოწყვეტილი იქნება

**კრებები და მიტინგები.**

სამშაბათს, 13 მაისს, საღ. 7 საათზე მოწვეულია მკერვალთა პროფესიონალური კავშირის სადელეგატო კრება. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— ორშაბათს, 13 მაისს, საღამოს 5 საათ. ნაძალადევის თეატრის შენობაში დანიშნულია პირველ რაიონის კოლექტივის რ. ს. დ. მ. პარტიის, ყველა პოდკოლექტივების პირველი რაიონის, დიდუბის და ნაძალადევის სამოქალაქო კომიტეტების წევრთა საზოგადო კრება.

— თფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრება დანიშნულია დღეს 10 საათზე ქართული კლუბის დარბაზში. კრებაზე დაესწრება და მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი.

— დღეს ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის ხმოსანთა სხდომა შესდგება საღამოს 5 საათზე.

— დღეს, 12 მაისს დილის 10 საათზე მოხდება მესამე რაიონის სოციალდემოკრატიული პარტიული მორიგი საზოგადო კრება, კახეთის მოედანი, ავლაბრის კლუბის დარბაზში. ვსთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ.

# მოვალეობის მსხვერპლნი

## გოგი კალანდაძის დედას.

ამ პატარა წერილით მინდა მივწვდე უბედურ გოგის დედას მოვეხვიო მის მშფოთარე სევდით და მწუხარებით აღსავსე გულს და მასთან ერთად ვაფრქვიო ცრემლები. მინდა ვიტირო თქვენთან ერთათ უბედურო დედა, ჩვენ ყველას, მთელს ჩვენს ოჯახს უნდა თქვენთან ყოფა და თქვენთან ერთათ მწუხარების გაზიარება. მოთქვამს და გოდებს ჩემი ბებო, რომელსაც გოგის სახით თავის ერთი დაკარგული შვილს იხსენებდა და მთელი თავისი დასჯილი. გულით უყვარდა იგი... სტირიან ჩემი გოგოებიც, რომლებმაც გოგის სახით დაკარგეს საყვარელი ძია, რადგანაც მან თავისი ნაზი, კეთილი სულით იცოდა მათთან ლაპარაკი, მათთან გართობა და თამაში. ვტირით ჩვენც ყველა, მთელი ოჯახი...

გონება ვერ ურიგდება იმას, რომ გოგის ამ თვით-განხორციელებულ სათნოებას ვისმესთვის რამე დაეშავებინოს ულაშში... მაშ, რათ მოკლეს ის, რათ, თავისავე მოძმემ... რათ... წყნარი, კეთილი, მშვიდი, პატიოსანი ახალგაზდა, აბა რათა, რათ მოსწყვიტეს სიცოცხლეს.. რათ მოაშორეს ის თავის ნენას მკერდს, რომელსაც სულის ამოსვლამდე უხმობდა საბრალო ჭაბუკი... რათა ჩემო მეგობარო, რათა, ვის დასჭირდა შენი სიკვდილი ვის?..

იტირე საბრალო განაწამებო გოგის დედა, იტირე და იცოდე, რომ ყოველი წვეთი შენი ცრემლისა, შეუერთდება იმ შენებრ ტანჯულ დედათა ცრემლების გუბეს, რომელმაც ლამის სულ გადალექა ჩვენი ტანჯული სამშობლოს მიდამოები... და იგრძნობ შვებას.. იკვნესე საბრალო გოგის დედავ, რომ ყოველი შენი კვნესა ფოლადის ნაკვერჩხლათ გამოინაკვდოს და დაუდაღოს გულ-მკერდი სამარადისოთ ჩვენ ქვეყანაში ჩაბუდებულ მორიელებს, რომლებიც ასე შეუბრალებლათ გვგლეჯავენ საუკეთესო შვილებს გულიდან...

იკვნესე და იტირე საბრალო ქალო და შენი ცრემლები მოახდენენ სასწაულს...

ჩვენ კი, ჩვენ მთელს ჩვენს ოჯახს მოგვეცით ნება თქვენთან ერთათ ვიტიროთ საყვარელი მეგობარის თქვენი შვილის—გოგის ცხედარი.

**თამარა გოგოლაშვილი.**

## გიორგი გიგოს ძე დოლიძე.

5 აპრილს მდ. ოჩხამურთან შეტაკების დროს მტრის შეუბრალებელმა ტყვიამ გული გაუგმირა საუკეთესო ამხანაგ და თავგანწირულ მებრძოლს პორუჩიკ გიორგი დოლიძეს.

ცხრა განგმირულ რაზმელებს შორის პირველათ დაეცა ამ ცხარე ბრძოლის ხელმძღვანელი გიორგი!

საშინელი სროლის ცეცხლში გახვეული, ის გაორკეცებული ენერგიით, თავგანწირულობით და გონიერებით განაგრძობდა მცირე რაზმის ხელმძღვანელობას, რომელიც თავდავიწყებით იბრძოდა, როგორც უფროსი. მაგრამ ლომებრ მებრძოლი გიორგი იმსხვერპლა მტარვალის მუხთალმა ხელმა. ჯერ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, რევოლიუციის და სამშობლოს დაცვის უდიდეს იდეით გატაცებული უდროოთ გამოესალმა წუთისოფელს. დემოკრატიამ დაჰკარგა ერთი ღირსეული შვილი. მეტათ მწარე ფიქრებს აღვივებს, მეტათ დამაღონებელ სევდას გვრის გიორგისებურ გმირების დაკარგვა რაზმის გულში, მაგრამ მეორე მხრით, ასეთი თავგაწირულება ასწავლის მას, როგორ უნდა წმინდა საკაცობრიო იდეალებისათვის თავის დადება, როგორ უნდა სისხლით მოსვრილ ჩვენი წითელი დროშის შენარჩუნებისათვის გმირული ბრძოლა.

ძვირფასო ამხანაგო! შენი საყვარელი რაზმი არ გტირის, შენისთანა გმირებს მისთვის ტირილი და ცრემლთა ფრქვევა არ უსწავლებია, არამედ ბრძოლა ასწავლა. შენით საყვარელო ამხ. გიორგი, რაზმი ამაყობს, ამაყობს საქვეყნოთ, რადგან შენ პირნათლათ აასრულე შენი მოვალეობა რევოლიუციის, სამშობლოს და ამხანაგების წინაშე. შენ რომ ამბობდი: „მე ომალ ცივ სამარეში ჩავალ მტრის მახვილით გულ-განგმირული, ვიდრე ვიხილავ ჩემი მრავალტანჯული ქვეყნის აწიოკებასო“—აასრულე. შენ დაეცი გურიის საზღვრებთან. სიტყვები სუსტია შენი ღირსების დაფასებაში.

უკანასკნელათ, რაზმის სახელით გეთხოვებით გმირულათ დაღუპულო დაუვიწყარო ამხანაგო, მშვიდობით ღირსეულო ადამიანო!

შენი ხსოვნა სამარადისოთ წაუშლელი იქნება შენი ამხანაგების და დემოკრატიის გულში. მშვიდობით!..

**შენი დათიკო.**

# რა მოხდა სამეგრელოში?

ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ ხშირად შეხვდებით გაზეთის ფურცლებზე, აგრეთვე კერძო ლაპარაკშიც, რომ სამეგრელომ გვიღალატა, სამეგრელომ რევოლიუციას ზურგიდან მახვილი ჩასცა, სამეგრელო დღეს რეაქციონურ მხარეს წარმოადგენსო და სხვა. ჩემი მიზანია მკითხველ საზოგადოებას მოკლეთ გავაცნო ის, თუ რამდენათ მართალია ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებანი, და თუ რამ გამოიწვია სამეგრელოს **უმნიშვნელო** ნაწილის კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა. იმ გაუგებრობის გასაფანტავად, რომელიც სამეგრელოს ამბების გარშემო არის შექმნილი, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია ის ცნობა, ვითომც მთელს სამეგრელოს მიეღოს აქტიური მონაწილეობა ეგრეთ წოდებულ „ბალშევიკურ მოძრაობაში“. სამეგრელო შეიცავს ორ დიდ მაზრას, სენაკის და ზუგდიდის, რომლებში დაახლოვებით 55 საზოგადოებაა, აქედან მთელს ზუგდიდის მაზრაში რევოლიუციონური წესრიგი არ დარღვეულა და არავითარი აქტიური გამოსვლა არ ყოფილა. სენაკის მაზრის ორ რაიონში მარტვილის და ბანძის 7—8 საზოგადოებამ მიიღო მონაწილეობა მუხანათურ გამოსვლებში. იმ დროს, როცა სამშობლო განსაცდელში იყო, როცა რევოლიუციონური დემოკრატიის და მთავრობის მუშაობა მობილიზაციის ჯეროვანად ჩატარებისაკენ იყო მიმართული, ამ ორ რაიონში გაჩნდნენ „ბალშევიკები“, რომლებმაც სასტიკი აგიტაცია გასწიეს მობილიზაციის წინააღმდეგ. დაუწყეს ხალხს რწმუნება, რომ ომის წარმოება მენშევიკ-ბურჟუაძეების საქმეა, ომი მათ მიერ არის მოგონილი, თათარი ჩვენ არ გვებრძვის, ის არ მოიწევს წინ. თქვენ გატყუებენ, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ შინაურ მტრებს, უნდა ჩამოვაგდოთ ბეგებით სავსე სეიმი და თუ თათარი მოვიდა იმას ჩვენ ვნახავთ. ბევრ საზოგადოებაში აირჩიეს საგანგებო დელეგატები ნამდვილი ამბის გასაგებათ: მართლა მოდის თუ არა თათარი. ამ „მობალშევიკო“ ხალხის პროვოკაციამ ფართე ნიადაგი იპოვა გახულიგანებულ ჯარისკაცთა ბრბოში, ეს გულზე მალამოთ წაეცხო აგრეთვე ზოგიერთ ჯარში გასაწვევ ახალგაზდას, მას დაეკარგა სურვილი ომში წასვლისა და უცბათ „გაბოლშევიკდა“. აქ მთელი ჩვენი ძალა ავამოძრავეთ, გავმართეთ სხვადასხვა საზოგადოებებში მიტინგი და ხალხს გამოვატანიეთ ყველგან რეზოლიუციები მობილიზაციის სასარგებლოთ. ამ დროს ჩამოდის დ. ნოღალევში რევოლიუციონური რაზმი ამხ. ს. მაღნარაძის მეთაურობით, რომელსაც მრავალრიცხოვანი მიტინგი, ზოგიერთ ჯარისკაცების გამოკლებით, დიდის აღტაცებით და სიხარულით ხვდება. „ხედავ, მთავრობას ძალა ყოლიაო“, ხშირათ გაიგონებდით მაშინ გლეხისაგან. რაზმის მიზანი იყო ჯარისკაცებისთვის იარაღის აყრა და მობილიზაციისათვის მტკიცე ნიადაგის მომზადება. რაზმი თავის მიზანს ვერ აღწევს, ის ორი დღის შემდეგ უკან იქნა გამოწვეული და მისმა ჩამოსვლამ უბრალოთ დემონსტრატიული ხასიათი მიიღო. ამის შემდეგ მარტვილის რაიონში სდგება რევოლიუციონური თავდაცვის ინტერ-პარტიული კომიტეტი, რომელშიაც უმთავრესათ მობილიზაციის მხარის დამჭერი ჯარისკაცები—ბალშევიკები იქნა დაშვებული. ეს იყო ბათუმის დაცემის დღეებში. თავდაცვის კომიტეტი გამოდის ხალხის სულიერ განწყობილებიდან (ხალხი აშკარათ მოითხოვდა კრებებზე საერთო მობილიზაციას: თუ წასვლა იქნება, ყველა წავიდესო), ადგენს მოხდეს საყოველთაო მობილიზაცია, ოჯახში უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ერთი მარჩენალი. აი სწორეთ ამ დროს ამოძრავდენ მთელი კონტრ-რევოლიუციონური ძალები. „მობალშევიკე“ ჯარისკაცებმა გასწიეს მობილიზაციის საწინააღმდეგოთ უშვერი აგიტაცია, დაუწყეს ხალხს და განსაკუთრებით გასაწვევ ჯარისკაცთ რწმუნება, რომ თათრებისაგან არავითარი საფრთხე ჩვენ არ მოგველის, მობილიზაციას ახდენენ ბალშევიკების საწინააღმდეგოთ, ფრონტზე კი არ მიყავთ ხალხი, ბაქოსუხუმისკენ გზავნიანო და სხვა.

კრებებზე ცხადდებოდნენ იარაღით და ტერორს ახდენდენ მცხოვრებლებზე. ასეთმა რეაქციონურმა აგიტაციამ გასჭრა და მობილიზაცია შეფერხდა. ასეთი მდგომარეობა იყო, რომ ბანძის და მარტვილის რაიონებს მოევლინა ბალშევიკი პროპაგანდისტი, ვიღაც შალვა ასკურავა, რომელმაც „მობალშევიკო“ ჯარისკაცების მობილიზაცია მოახდინა არა თათრების წინააღმდეგ, არამედ—ადგილობრივათ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

ნიადაგი უკვე მზათ იყო: საკმარისი იყო ომში წასვლაზე უარის თქმა, მობილიზაციის წინააღმდეგ წასვლა და ბურჟუების წინააღმდეგ გალაშქრება, რომ ჯარისკაცების დიდი უმრავლესობა თავის მხარეზე გადაებირებია ასკურავას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განსაკუთრებით ამ ორ რაიონში იჩინა თავი „ბოლშევიზმმა“. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები თითქმის გამოუკლებლივ თავის თავს „ბოლშენიკად“ (ასე ეძახდენ) აღიარებდენ. სოფლის მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილიც თანაგრძნობას უცხადებდა მათ.

არც გასაკვირია: სოფლის გლეხობა რევოლიუციიდან მოელოდა მიწას, თავისუფლებას და მტკიცე წეს-წყობილებას. პირველის ნაკლებობაა საერთოდ მარტვილის რაიონში და ამით დაკმაყოფილება მათი ყოველგვარ რევოლიუციის ძალ-ღონეს აღემატებოდა. თავისუფლება თუმც მიიღო, მაგრამ ცუდათ გაიგო. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საერთოდ სოფელშიაც რევოლიუციონური წესრიგი თანდათან ირღვევა, ადმინისტრატიული ძალა სუსტდება. „სოციალისტური“ ზომები დამნაშავეთა წინააღმდეგ მიზანს ვერ აღწევენ. ხალხში უკმაყოფილება იზრდება. ამას ხელს უწყობს ხსენებულ მარტვილის რაიონში შიმშილობა და სხვ. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ ეგრედ წოდებული ბალშევიკური მოძრაობა იწყება სწორედ იმ რაიონებში, რომლებიც გეოგრაფიულად დაშორებულნი არიან ცენტრებს აბაშა სენაკს და მოკლებულნი არიან რეალური ძალის გავლენას. ამ ძალას ისინი ხედავენ ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა ხელში, რომლებიც ყოველგვარ კრებებზე იარაღებით ტერორს ახდენენ მცხოვრებლებზე და მასას თანდათან აბალშევიკებენ.

ამას თან ემატება ზღაპრული სიძვირე ყოველგვარი სანოვაგის, ხალხი ნამდვილ მიზეზებს ყველა ამისა ვერ ხედავს და ამის მიზეზად არსებულ რევოლიუციონურ მთავრობას უხატავენ „თოფიანები“ და მით კონტრ-რევოლიუციის ამოძრავებას ხელს უწყობენ. აი სწორედ ასეთ პირობებში შ. ასკურავამ მოაგროვა ექვსასამდე ვინტოვკიანი ჯარისკაცები. ერთი ნაწილი ბანძაში დარჩა, მეორე ნაწილი ნოქალაქევის ციხეში გამაგრდა, მესამე ნაწილი კი ნოღალევში შემოვიდა. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. იარაღი აყარეს ყველა მილიციონერებს და პარტიულ ამხანაგებს. საქმეებს განაგებს სამხედრო შტაბი, რომლის შემადგენლობა სასტიკ კონტრ-რევოლიუციონურია: შტაბის უფროსია ცნობილი **პოლიციელი** რევოლიუციის აშკარა მტერი **ოლიფანტე ოჩიგავა.** შტაბის წევრია ვიღაც **ხულიგანი კარტოზია.** და ასე დაუსრულებლივ, მთელი ხელმძღვანელი ამ შეიარაღებული ძალისა კონტრ-რევოლიუციონერებია, რომლებთაც რევოლიუციონური მთავრობის სიძლიერე არსებობა ვერ მოუნელებიათ და სურთ როგორმე მას ბოლო მოუღონ, რომ ამღვრეულ წყალში ძველებურათ იჭირონ თევზი. აი ასეთი ხალხი იჭერს ადგილობრივ მენშევიკთა ლიდერებს. გახულიგანებული ჯარისკაცთა ბრბო აპატიმრებს აშკარა რევოლიუციონერებს და სიკვდილით ემუქრება. აი სწორედ ამ ხანებში ეცემა ბათუმი. ჯარი კი შეიარაღებულად დგას ხსენებულ რაიონებში. ამ ჯარს წინადადებას აძლევს რევოლიუციონური მთავრობის წარმომადგენელი წითელი გვარდიის ხელმძღვანელი ვ. ჯუღელი ფრონტზე გაემგზავროს, მაგრამ იქიდან აყენებენ ულტიმატუმს: დაცალეთ აბაშა და სენაკი და შემდეგ წავალთ ფრონტზეო. არ გაუგონეს არც საგუბერნიო ბალშევიკების წარმომადგენელ კ. ქაცარავას. ყველა ამის შემდეგ დაიძრა რაზმები ორი მხრით: აბაშიდან და სენაკიდან ბანძა-ნაქალაქევ ნოღალევისაკენ. ზარბაზნებიდან რამოდენიმე გასროლის შემდეგ ბრბო გაიფანტა. როცა რაზმი უკან გამობრუნდა, ბრბოს ნაწილი ისევ გამოჩნდა ნოღალევში და კონტრიბუციის აკრეფა დაიწყო. შეუგროვებიათ სულ 1500 მ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, ყველა ის ჯარისკაცები, რომლებმაც თავი მოიყარა ხსენებულ რაიონებში ქ. სუხუმისკენ წასულან, რომ იქიდან დაიწყონ შეერთებულად შემოტევა.

აი ასე დამრავრდა ეს ტრაგედია. მაგრამ საქმე გათავებულათ ჯერ არ ჩაითვლება. მოსალოდნელია უარესი ამბებიც. პროპაგანდასიტყვის დრო წავიდა. დღეს საუკეთესო პროპაგანდისტია **თოფი-ხიშტი.** სოფლის ხალხს სწყურია ძალა, მტკიცე მთავრობა. თუ ეს დროზე არ იქნა მოწესრიგებული, სოფელს ყველგან ანარქია დაეპატრონება და მით რევოლიუციის ის მონაპოვრებიც ხელიდან გაგვიქრება, რომელიც ჯერ კიდევ შეგვრჩენია ხელთ. საჭიროა დაუყონებლივ მუდმივ რაზმების ჩაყენება დაბებში. სენაკის მაზრას დასჭირდება 200—250 კაცი. რაზმი სასტიკათ უნდა შეებრძოლოს კონტრ-რევოლიუციონერებს. არავითარ ლმობიერ „სოციალისტურ“ მოქცევას დამნაშავესთან ადგილი არ უნდა ექნეს. მხოლოდ ამ გზას შეუძლია იხსნას რევოლიუცია, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხალხის სიმპატიის დამსახურება.

**ანხანი.**

# საად.-მამულო რეფორმა

20 მარტს გორში გავემგზავრეთ საადგილმამულო კომიტეტის მიერ დანიშნული საგანგებო რწმუნებულები. მიუხედავათ იმისა, რომ იმ დროს გორში ძნელი იყო მუშაობა, რადან ყველა ამხანაგების ყურადღება ცხინვალისკენ იყო მიპყრობილი, გორის საადგილ-მამულო კომიტეტმა მაინც შესძლო მუშაობის დაწყება. ხუთ დღეს გასტანა ადგილობრივ მუშაობამ. შემდეგ რწმუნებულები წავედით სხვადასხვა რაიონებში სამუშაოდ. მე წავედი მეჯვრისხევის რაიონში. ცხრა დღის განმავლობაში მთელი რაიონი ჩამოვიარე. ადგილობრივ ამხანაგების დახმარებით მოვახდინეთ მიტინგები. მოხსენებებს ვაკეთებდით თანამედროვე მომენტზე მობილიზაციაზე და ახალი კანონზე მიწის შესახებ.

ხალხი აღფრთოვანებით გვეგებებოდა და ფიცს სდებდა, რომ ერთ ადლ მიწასაც არ დაუთმობთ მტერს. რასაკვირველია აქა იქ გამოერეოდენ გახულიგანებული ყოფილი ჯარისკაცები, რომლებიც გაიძახოდენ: ამდენ ხანს ჩვენ ვიყავით ფრონტზე, აწი კი სხვა წავიდესო, მაგრამ იქავე ტუქსავდენ თავიანთი ამხანაგები. მიწის კანონის შესახებ სავსებით მოიწონეს სეიმის გადაწყვეტილება. მხოლოდ ძლიერ ეჩქარებათ ხალხს მიწის ჩამორთმევა. კომისიის საჭიროება ერთობ დიდია,—რადგან ბევრი საყურადღებო კითხვებია გადასაჭრელი. საერთოდ ქართლი უპატრონოთ არის დატოვებული. ხშირია ასეთი მაგალითი: ქართული წერა-კითხვის მცოდნესაც ვერ ნახავთ სოფლად.

**შერთულისპირელი.**

## აგრარული საკითხის გამო.

აგრარული საკითხი ერთი უდიდესი და ურთულესი საკითხთაგანია ყველა სხვა საკითხებთან შედარებით.

მიწის საკითხის გადაჭრა, მიწის ამა თუ იმ ფორმით ხალხის ხელში გადასვლა და ხალხის მიერ მიწით სარგებლობა აზრთა დიდს სხვადასხვაობას იწვევდა თვით სოციალისტთა შორის.

დღევანდელი ცხოვრების სინამდვილე და ობიექტიური პირობები ისეთია, რომ ეხლავე ერთბაშათ სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია, რაც გინდ დიდი სურვილები და კეთილ განზრახვებით არ ვიყვეთ აღტყინებულნი. საქმე სურვილებში კი არ არის, არამედ იმაში თუ რას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე.

მიწის საკითხის საბოლოოთ გადაჭრა, როცა კაპიტალიზმი ძლიერია და კერძო საკუთრება არ მოსპობილა შეუძლებელია. საუკეთესო საშუალებათ დღევანდელ პირობებში, რომ მიწა მიწის მუშის ხელში გადავიდეს და კულტურის და საზოგადოებრივ ცხოვრების წინსვლას ხელი შეუწყოს—არის მიწის მუნიციპალიზაცია. ამის შესაფერი კანონი, მთავრობის მიერ გამოცემული ახლა საქმეთ უნდა იქცეს, ცხოვრებაში გატარდეს.

საქართველოში ამ ნიადაგზე მუშაობა უკვე სწარმოებს. თუმცა ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზები ამ საქმეს აქაც ეღობებიან წინ, მაგრამ ჩვენში, დემოკრატია იმდენათ მომზადებულია, რომ შესძლებს ეს კანონი ცხოვრებაში გაატაროს. საქართველოში ასე თუ ისე ეს რეფორმა უმტკივნეულოთ ჩატარდება.

სამწუხაროთ ეს არ ითქმის მუსულმანთა მასსაზე. მუსულმანობა ძლიერ დაბლა დგას შეგნებით. მათში ჯერ კიდევ ძლიერია მემამულეების და სამღვდელოების გავლენა. იქ ხალხი ვერ არჩევს მტერს მოყვრისაგან. თუ გვინდა, რომ რევოლიუცია არ დამარცხდეს, რომ შინაური და გარეშე ფრონტი რევოლიუციისა გამაგრდეს, რომ თავისუფლება და საერთოდ რევოლიუციის მონაპოვარი შევინარჩუნოთ, მთელი ჩვენი ყურადღება, ყოველი საშვალება და ღონე უნდა იქნას მოხმარებული, რომ მუსულმანობაში—ამ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა მრავალ რიცხოვან ერში გატარდეს რეფორმა.

აქეთკენ უნდა მიმართოს მთავრობამ მთელი თავისი ძალა-უფლება. ამ საქმეში უნდა გამოიღონ თავი თათრის ერის გულშემატკივარებმა, შეგნებულმა ელემენტებმა, რომ მიწის ფაქტიურათ ხელში გადასვლით, იგრძნოს თათრის მასსამ რევოლიუციის მნიშვნელობა და სიდიადე.

სჯობს სხვა ყველა საკითხები დროებით გადაიდოს, ხოლო პირველ ყოვლისა და რაც შეიძლება მალე ეს საკითხი გატარდეს ცხოვრებაში, რითაც რევოლიუცია ძლიერ დამცველს შეიძენს.

თუ მუსულმან გლეხობამ მიწა მიიღო, არც შინაური და არც გარეშე მტრები რევოლიუციისა, რომლებიც სასიკვდილოთ ემუქრებიან მას, საშიში აღარ იქნება და ამიერ-კავკასიის ნორჩ რესპუბლიკას ვერავითარი მოწინააღმდეგე ძალა, ვერავითარი შავი საფრთხე ვერას დააკლებს.

როგორც ზევით მოვიხსენიე ამ საქმეში დიადი როლის შესრულება შეუძლიათ ამხანაგებს „გუმეტის“ პარტიიდან, რიცხვით მცირე ჯგუფს, სამაგიეროთ მუსულმანთა მასსაში დიდი გავლენით და ნდობით აღჭურვილო.

ამაში მე დამარწმუნა პირადმა დაკვირებამ და ხანგრძლივმა ყოფნამ მუსულმანთა შორის.

რაც გინდ ძლიერი არ უნდა იყოს გარედან მისული ძალა, ის იმდენს ვერას გააკეთებს, რამდენსაც შინაური, თუნდაც მცირე ძალა.

ეს თუ მოახერხა ჩვენმა მთავრობამ, მაშინ ბეგების და ხანების გავლენა ხალხში დაეცემა და ამითი ოსმალეთიც დაკარგავს თავის გავლენას, რაც ასე საბედისწეროთ ემუქრება ამიერ-კავკასიის ერთა თავისუფლებას.

ვიმეორებ, ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება მორიგ საკითხათ უნდა დაისვას, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება, თუ დამარცხება.

სხვას ყველაფერს მოვესწრებით. სიტყვებმა, დეკრეტებმა, დაპირებებმა მნიშვნელობა დაჰკარგეს. ხალხს სწამს მხოლოდ ცოცხალი მაგალითები, ცოცხალი საქმეები.

**ლ. კანკავა.**

# სოც.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 9 მაისს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. როგორც ზოგიერთ ამხანაგების მოხსენებიდან გამოირკვა, თანამედროვე მომენტის ფრიად ცვალებადი და რთული პირობები და აგრეთვე საორგანიზაციო მუშაობის შესუსტება მასსაში ხელს უწყობდა ტაქტიკურ მოსაზრებათა სხვადასხვაობას, მაგრამ ბოლო ხანებში ხალხი თანდათან ერკვევა მომენტის საკითხში და აზრთა სხვადასხვაობასაც ადგილი აღარ აქვს. პარტიული მუშაობის შესახებ კრებამ დაადგინა, ვინაიდან პარტიული მუშაობა ჩვენში დღეს თითქმის მივიწყებულია, რომელსაც შედეგათ პარტიის დაუძლურება მოჰყვება, ამიტომ საჭიროა ყველა ჩვენი მოწინავე ამხანაგები დაუყონებლივ შეუდგენ პარტიულ მუშაობას. ამასთან ერთათ კრება ადგენს: რომ ხალხი დაწვრილებით გაეცნოს ყველა იმ მოვლენათა მიზეზებს, რომელიც ხშირად გაუგებრობას იწვევს მასსაში, ხშირ-ხშირათ იმართებოდეს ფაბრიკა-ქარხნებში და აგრეთვე უბნებშიც საერთო კრებები, სადაც ჩვენი მოწინავე ამხანაგები გაარკვევენ ხალხს ამა თუ იმ კითხვებს მომენტის შესახებ.

**თედ. ხუხუნაიშვილი.**

# პროვინცია

**ლანჩხუთი** (გურია). ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი სადემაგოგიო მასალა მისცა აქაურ „კომუნისტებს" სეიმისა და მთავრობის წინააღმდეგ. „სეიმმა ამიერ-კავკასია გამოყო რუსეთიდგან, ამიერ-კავკასიის დემოკრატია ჩამოაშორა ძლიერ მოკავშირეს—რუსეთის დემოკრატიას და ოსმალეთის იმპერიალისტებსა და ფაშების წინაშე წამოაჩოქა, ეს იმიტომ, რომ სეიმი კონტრ-რევოლიუციონურია და მას რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიასთან არ შეეძლო ყოფილიყო. რუსეთს რომ არ ჩამოვშორებოდით, რუსეთი მოგვეხმარებოდა და მტერს დავამარცხებდით. გავრეკოთ სეიმი, ჩამოვაგდოთ მთავრობა, ვაღიაროთ სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობა და ბათუმს სამს დღეში დავიბრუნებთ, მტერს გავრეკავთო". აი ასეთ უსირცხვილო აგიტაციას ეწევიან ხალხში. ეს გონება დახშულები ფიქრობენ ამით აუბნიონ გზა-კვალი ხალხს და აქაც ისეთი არევ დარევა, ანარქია გამოიწვიონ, როგორც ეს მოახერხეს ზოგიერთ კუთხეებში. მარა მათი ასეთი ცდა, დარწმუნებული ვარ, მიზანს ვერ მიაღწევს. გურულებმა ძალიან კარგად იციან რა ფასი აქვს მათ დემაგოგიას. არც ისე შეუგნებელია გურული გლეხი, რომ მისი ასე ადვილად მოტყუილება შეიძლებოდეს. გურულები კარგად ხედავენ თუ სანამდის მიიყვანეს ბოლშევიკებმა რუსეთი, როგორ დაღუპეს რევოლიუცია, როგორ შეკრეს ზავი, რომ რუსეთი გერმანიის გაუმაძღარ იმპერიალისტების საჯიჯგნად გახადეს, ვინ იცის რამდენი ხნით დაასამარეს სოციალისტური მოძრაობა და რეაქცია გაამეფეს. გურულებმა კარგად იციან, რომ სწორედ ბოლშევიკების გამოსვლამ გადაისროლა რუსეთი საშინელ ანარქიის ტალღებში, გამოიწვია ომი თვით დემოკრატიაში და მოსწყვიტა ამიერ-კავკასია რუსეთს, რომ ფაქტიურად კარგა ხანია მოწყვეტილი ვართ რუსეთის დემოკრატიაზე და ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის მიღება ის მხოლოდ სინამდვილის აღიარებაა, იურიდიული გამოხატულებაა შომხდარ ფაქტის. ჩვენი ცდა რუსეთთან კავშირის აღდგენის შესახებ სწორედ ბოლშევიკების წყალობით ჩაიტარდა უნაყოფოდ.

რუსეთიდგან დახმარების მიღების შესახებ ლაპარაკი ხომ უსირცხვილო დემაგოგიაა. ბოლშევიკების მთავრობა არ იყო, რომ ბათუმის, არდაგანის და ყარსის ოლქები გადასცა ოსმალეთის იმპერიალისტებს?

იმ დროს, როდესაც ოსმალეთის ჯარი შუაგულ გურიაში შემოიჭრა, სამაზრო ქალაქი დაიკავა, როდესაც აწიოკებული ოჯახები, გამოქცეულები ცის ქვეშ ღვთის ანაბარად ყრიან, როდესაც ოსმალეთის იმპერიალისტები განადგურებისა და გაქრობას გვიქადის, იმ დროს როდესაც ქვეყანა იღუპება და ყველა ხალხის მეგობარი და ინტერესების დამცველი უნდა ივიწყებდეს შინაურ უთანხმოებას და გაერთიანებული ძალით იცავდეს ხალხს ბარბაროს მტრის შემოსევისა და აწიოკებისაგან, ბოლშევიკები არევ დარევისა და ანარქიისაკენ მოუწოდებენ ხალხს და მით საშვალებას აძლევენ მტერს დაეუფლოს და გაგვანადგუროს.

ბოლშევიკების ასეთი საქციელი კარგად უნდა დაიმახსოვროს ხალხმა. შეგნებული ჯარისკაცების მოვალეობაა აუხსნან და გაურკვიონ ზოგიერთ შეუგნებელ ჯარისკაცებს საქმის ნამდვილი გარემოება და სასტიკათ შებრძოლონ ბოლშევიკების დემაგოგიას.

Korneli.

---

**სოფ. დიდი-ანასეთი.** აქაური მცხოვრებნი განაცვლდულშია. აქ შემდგარა ერთი ჯგუფი, რომელიც შესდგება დეზერტირ-ქურდ-ბაცაცებისაგან, აი ამ ვაჟბატონების თავხედობაც. ამ რამდენიმე დღის წინათ სხვა სოფელთან ერთათ გასტეხეს ბელიკლუჩის იარაღის საწყობი, შემდეგ მიადგენ ბარათაშვილების სახლებს და შემდეგ კი დიმო საგინაშვილის სახლს. სულ წმინდათ დაარბიეს და გაზიდეს. როცა ამას მორჩენ, თავი გამოაცხადეს სოფლის კომიტეტათ და „სოციალიზმი" გამოაცხადეს თავისებურათ. ჩამოართვეს ბაღები, ბახჩები და წისქვილები. ბაღებიდან იღებენ კარგს ხეხილებს და ვაზებს—თავიანთ ბაღებში მიაქვთ, ამითაც არ დაკმაყოფილდენ. მოახდინეს პროვოკაცია: „არიქა თათრები მოდიანო, ზარები დარეკეს, მოაქუჩეს მთელი საზოგადოება და გაუდგენ ბელი-კლუჩისკენ, მაგრამ იქ როცა ვერაფერი ნახეს საკბილო, მერმე მიუთითეს ფეხსაცმელების საწყობზე, რომელსაც ეს ამოდენა ბრბო მიესია და გასტეხეს. იქ დახვდათ ძველი ბატინკები. ამ დროს გამოჩნდა ცოტა მომზადებული ხალხი, რომლებმაც გატაცებული საქონელი სულ დაატოვებინეს. მხოლოდ ჯიბგირებმა ისარგებლეს. ამათ ხმას ვინ გასცემს. მაშინვე ვინტოვკას ესვრიან; აქედან რომ დაბრუნდენ, ერთი მაგრათ დაითვრენ, მწვრე დაერივნენ ერთმანეთს, ვინტოვკებიც კი ისროლეს და ამ არეულობაში ერთი დაიჭრა კიდეც. დანახარჯი თითონ არ გადაუხდიათ, სოფელზე გააწერეს. შეეკითხე: რათა შვრებით ეგრე, ჩვენ მთავრობა გვყავს, იმათ კანონს უნდა დავემორჩილოთ. იმათ მიპასუხეს: ჩვენი მთავრობა ჩვენა ვართო. საჭიროა ამ ვაჟბატონების თავგასულობას ლაგამი ამოსდოთ, თორემ ხალხს უარესი დღე მოელის.

მგზავრი ართო.

---

**ს. გუჯარეთი** (გორის მაზრა). 10 აპრილს გაიმართა გუჯარეთის, წითელი-საყდრის ლინტურის, თონეთის, ოდეთის, ღვთისმშობლის, გვერდის უბნის და მაჰარწყლის გლეხთა საზოგადო კრება, ამხ. შახნაზაროვმა, ბორჯომის გლეხთა საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა ვრცელი მოხსენება დღევანდელ მომენტზე, მან განუმარტა დამსწრეთ თუ რა მოელის უკულტურო ოსმალეთის შემოსევით ამიერ-კავკასიას, რომელიც გაამეფებს ბატონ ყმურ წეს-წყობილებას, მაშასადამე წაერთმევათ მიწა და თავისუფლება. აგრეთვე დაწვრილებით გააცნო ცხინვალის ამბები, თუ რა ნიადაგზე მოხდა უწესოება. და მოუწოდა ხალხს ებრძოლონ ნაძირალებს. დასასრულ კრებამ ერთხმათ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

ჩვენ ზემო-აღნიშნულ სოფლების მცხოვრებნი ოსობა სრულს ნდობას უცხადებთ ამიერ-კავკასიის მთავრობას და სეიმს. მოვუწოდებთ ყველა შეიარაღებულ პირთ აღმასრულებელ კომიტეტის ყოველივე განკარგულებას დაემორჩილონ. ვისაც—მობილიზაცია უწევს, გამოცხადდება დანიშნულს ადგილს, მოვალეთ ვრაცხთ ჩვენს თავს ვიზრუნოთ იმ ოჯახების შესანახათ, რომელნიც გაწვეულნი იქნებიან ბრძოლის ველზე. და ვგმობთ და ზიზღს ვუცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც ცხინვალის ალალი ხალხი რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ აამხედრა".

დიმიტრი დ. ქევხიშვილი.

# წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაუწყო სომხურ ს. დ. გაზეთ „ფაიქარის" მკითხველებს და ხელის მომწერლებს, რომ მე, ჩემდა საწუხაროთ, მომიხდა გამოსვლა სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობიდან და 9 მაისიდან (84 №) არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობ ხსენებულ გაზეთის სარედაქციო საქმეებში.

გიორგი კარაჯიანი (ს. ტ. არკომედ).
10 მაისი 1918 წ.
ქ. თფილისი.

---

**გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტს.**

ვსცნობ რა თავს ვალდებულათ დავეხმარო გურიის თავდაცვის კომიტეტს, ამასთან ერთათ ვადგენ შეძლების დაგვარათ ხუთ თუმანს და მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო და თავისუფლება, დაეხმაროს განმათავისუფლებელ მოძრაობის ავანგარდს გურულებს.

თფილისის სადგურის გზის ოსტატი
სოლომონ ნასიძე *).

---

**პასუხი ამხანაგ კირილე ვადაჭკორიას.**

თქვენ გაზეთ „ერთობის" მე-83 ნომერში მთხოვთ გიპასუხოთ იმ ფულის და საქმის შესახებ, რომელიც დამავალა ქ. კაზვინის ქართველ-სომეხთა სამხედრო ეროვნულ-რევოლიუციონურ კავშირებმა. მიუხედავათ ჩემის ბევრის ცდისა, რომ დავბრუნებულიყავ კაზვინში, ვერ მოვახერხე. ორჯელ წამოველ, მაგრამ ორჯელვე გზიდან დავბრუნდი. მეც თქვენსავით ვერაფერი გავიგე. დეპეშითაც ვერას გავხდი. ბოლო დრო შევხვდი ამხ. არშაკ მარკარიანცს, რომელიც ამ ჟამათ მესამე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივის თავმჯდომარეა, ვესაუბრე და ვკითხე: როგორ მოვქცეულიყავ, მაგრამ ვერაფერ დასკვნას ვერ დავადექით. ამის შემდეგ გაზეთ „ერთობაში" და „ბორბაში" მოვათავსე ღია წერილები, რომლითაც მივმართავდი თუ ვინმე აღმოჩნდებოდა და კაზვინის ამბავს მაცნობებდა. („ერთობა" № 63 და „ბორბა"). მაგრამ ამითაც პასუხი ვერ მივიღე. ამ ერთი კვირის წინათ შევხვდი პრაპორშჩიკს ამხ. დეკანოზოვს, რომელმაც ვერაფერი მითხრა. ახლა მე დიდათ მოხარული ვარ, რომ მეძლევა შეძლება ჩავაბაროთ ყოველივე ანგარიში, მაგრამ არ შემიძლიან არ დავუმატო, რომ მე დავალებული არ მქონია გაზეთ „ერთობა" და „ეშმაკის მათრახისათვის" ფული გადამეცა. მე თქვენი მანდატი და „ნაკაზი" ხელთ მაქვს, სადაც ნათლათ არის აღნიშნული ჩემი მოვალეობა. რაც შეეხება გაზეთებს, მე მაქვს გამოწერილი 3 „ერთობა", 1 „ბორბა", 1 „საქართველო" და 1 „სახალხო". მაქვს შეძენილი წიგნაკები, რომლებიც უსარგებლოთ არის სახლში. მაქვს ყველაფერი საბუთები და ამისათვის გთხოვთ ან თქვენ ან სხვა ამხანაგმა გამოიაროთ სახლში და ჩაიბაროთ ანგარიშიც და გადავწყვიტოთ ვის გადაეცეს წიგნაკები. ჩემი ადრესი: ავლაბრის ქუჩა (7 კომისარიატი) № 10.

შაქრო ტალიკაძე.

# ცნობები

1 ქართულ მსროლელ პოლკში 1 ტყვიისმფრქვეველ კომანდაში მსახურებდენ ბათუმში შეტაკების დროს ვანიჩკა დავითის ძე, ვანო გრიგოლის ძე და ბაგრატ სერგოს ძე კამლაძეები. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მათ შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ყვირილა, სადგურის პირდაპირ ღვინის სარდაფი ვასილ დ. კამლაძეს.

# ჩვენი ფოსტა

**ხაშახ.** დააჩქარეთ ჩამოსვლა.

---

*) 50 მან. კომიტეტმა მიიღო.

---


# დაიკარგა

1918 წ. 14 აპრილს პესკის ქუჩაზე ჩემი და ვასილი იოსიფოვის პარტიული კნიჟკა II რაიონისა, ას სამოცდა ათი მანეთი ფული (170 მ.) და თოფის ტარების მოწმობა მოცემული თფილისის წითელი გვარდიის უმაღლეს შტაბიდგან ამ № 373537. მპოვნელს ვთხოვ ფული დაიტოვოს თავისთვის და დანარჩენები დამიბრუნოს შემდეგი ადრესით: არსენალი არტილერიის საწყობი ყარაულების, ბინა ტელეფონის № 19—63. ანანიკოვ პეტრეს.
პატივისცემით პეტრე ანანიკოვი. (1—1)

# დაიკარგა

25 მარტს ვარანცოვის ქუჩაზე 800 მან. თოფის ტარების ნებართვა № 47183 და ორი მოწმობა 8-რვე ლაზარეთიდან მოცემული, მპოვნელს ვსთხოვ ფულის ნაწილი თვითონ დაიტოვოს და დანარჩენი უკან დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ნიკოლოზის ქუჩა № 1. ბინა 3, იოსებ ავაკიანცს. (1—1)

# დაიკარგა

6 მაისს თფ. სადგურზე სალდათობის თავისუფლების მოწმობა, „ვინტოვკის" ტარების ნებართვა, ასი მანეთი ფული, მპოვნელს ვთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს და დანარჩენი დოკუმენტები უკან დამიბრუნოს შემდეგი მისამართით ანტონოვის ქუჩა № 36, იოსებ მარგიშვილს.

---

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

# კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისი ავადმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 118, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

---

დ. საჩხერეში ექიმის თანაშემწე

# ვ. ზ. ლაშხი

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

იქვე ექიმის თანაშემწე ქალი

# მ. პ. გაგარინა-ლაშხი

ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

---

# ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
კნენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეფხვის გვერდით. ტელ. 15—00

---

# ექიმი დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული ალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელეფონი 14—87.

---

# ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19

---

# ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

---

ექიმი

# გ. დონხინი

ყოფილი იასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ავადმყოფებს
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე
მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

ექიმი

# დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

---

ექიმი

# ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

---

მარტის 20 გაიხსნა ახალი

# სამკურნალო

ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ. ე. გ. მძინარიშვილის და ლ. მ ნაზარეტიანცის
სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით.

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღ. 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილის 10—12 საათამდე. (24—22)

---

# ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე.
გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

---

# ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საშებიო და საშვილოსნო სნეულებითავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე დილის 12—2 და საღამოს 4—5 საათამდე. ხოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 ს. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი ქალი

# რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლეჯისა იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამშობიარო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი 82. ტელ. № 3—97.

---

# ახალი კლუბის დარბაზში

კვირას 29 აპრილს (ახ. სტ. 12 მაისს) დღის 12 საათზე, დანიშნულია

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების რწმუნებულთა

# საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18).
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3) მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ;
4) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
5) მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (§§ 17, 31)
6) სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამუზეუმო სექციათა არჩევნები.

საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე-15 მუხლისა).

რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები.

პროვინციებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებად. (4—4)

---

# 20 მარტიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა სავაჭრო სახლი „კომერსანტი"

კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე. ყოველგვარ დავალებას სავაჭრო სახლი „კომერსანტი" ასრულებს დაუყონებლივ. ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი"-ს შემწეობით. „კომერსანტს" ყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დაბა-ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.

„კომერსანტი" თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებებია ამ ბაზრებზე გამოტანილი და რა ფასებში შეიძლება მათი შეძენა.

„კომერსანტს" აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიათ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოების შეძენა.

„კომერსანტი"-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

დეპეშის მისამართი: თფილისი „ტორდოკომი".


---

# სავალდებულო დადგენილება

დამტკიცებული თფილისის ქალაქის თვითმართველობის მიერ ქალაქის გადასახადების და მათზე დარჩენილ „ნედოიმკების" აღების შესახებ.

1) სახლის პატრონები, რომელთა სახლებიც შეფასებულია არა ნაკლებ ათი ათასი მანეთისა, ვალდებული არიან შემოიტანონ ერთი კვირის განმავლობაში, დღეიდან დადგენილების გაზეთებში გამოქვეყნებისა,—ყველა მათზე დარჩენილი „ნედოიმკები" შეფასებითი გადასახადებისა, როგორც ძველი წლების ისე 1918 წლის პირველ ნახევრისა.

2) ერთი კვირის განმავლობაში მოვალე არიან შემოიტანონ ყველა მათზე დარჩენილი გადასახადები, როგორც ძველი წლის ნედოიმკები აგრეთვე 1918 წლის პირველ ნახევრის გადასახადში ყველა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებები ქალაქ თფილისისა.

3) ქალაქის გადასახადის გადამხდელები, ყველა, ვინც არ შედის 1 და 2 მუხლში ნაჩვენებ კატეგორიაში აგრეთვე ყველა ჯურის „ნედოიმშჩიკები" (წყალსადენის, მოიჯარადრენი და სხ.) მოვალე არიან შემოიტანონ მათზე დარჩენილი გადასახადები, აგრეთვე 1918 წლის პირველი ნახევრის ხვედრი 1918 წლის 1 მაისისათვის (ძველი სტილით).

4) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში მიეცემიან სასჯელთა დებულების 29 მუხლის ძალით. (3—2)

---

# თფ. ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი

კვირას 12 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში იწვევს თფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კრებას ყველა დარგიდან. დღის წესრიგი:

1) მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი.

2) თუ რა ზომები იქნას მიღებული, რომ ბ ნთ ვაჭარ-მრეწველებზე გაწერილი ფული საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ დაუყოვნებლივ იქნას შემოტანილი.

3) შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც უკვე დამტკიცებულია.

4) არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა.

რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია გასარჩევი ბ-ნნი ვაჭარ-მრეწველნი ვალდებულნი არიან აუცილებლათ დაესწრონ კრებას. (3—3)

---

# სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი

სწავლობდა კიევში, ტეხნიკურ სასწავლებელში

ბინათ სცხოვრობდა ფილენსკის ქუჩაზე № 55. ორი თვე არის რაც არაფერი ვიცი მის შესახებ. თუ ვინმემ რამე იცის გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კობისკი ტუპიკი № 11 ნინა ლაზრიშვილი.
6—3